საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/1395
17/05/2019

1395-გ-19-03-2-201905171304

შპს „ქეი ენდ ქეი თივის“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 16 მაისს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია") სხდომა გადაიდო 2019 წლის 23 მაისს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. აღნიშნულ სხდომაზე, განიხილება შპს „ქეი ენდ ქეი თივისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტი, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-655, 17.04.19).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, კომპანიას უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-655, 17.04.19) – 1 ფურცელი.

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

N 19-10-655
17/04/2019

655-შ-19-10-3-201904171751

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ შპს „ქეი ენდ ქეი თივის“ (ს/კ-445463542) 2019 წლის თებერვლის თვის ჩათვლით კომისიაში წარმოდგენილი აქვს რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები და წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად (მცდელობის მიუხედავად) გააჩნია რეგულირების საფასურის დავალიანება - 338.48 ლარი.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

ნათია დევდარიანი

სამსახურის უფროსი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური